ააიპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ შუქრი თურმანიძეს

მოქალაქე გენადი ბერიძის

(მცხოვრები: დაბა ქედა, თამარ მეფის ქ. #3;

მობ.: 577 08 65 82 ელ. ფოსტა: geno.beridze1973@gmail.com)

პეტიცია

ააიპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭების შესახებ

ააიპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზი გაიხსნა 2011 წელს, რისი მთავარი მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა. საჭიდაო დარბაზი მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს და ჭიდაობით დაინტერესებულ მოქალაქეებს. ქედის მუნიციპალიტეტში ჭიდაობა როგორც სპორტის სახეობა და ქართული ტრადიციების ერთ-ერთი ნაწილი ბატონ გურამ ჯიჯავაძის სახელს უკავშირდება. ბატონი გურამი დაიბადა 1949 წელს ქედის რაიონ სოფელ წონიარისში, 1979 წელს მუშაობა დაიწყო ვაიოს საშუალო სკოლაში, 1981 წელს დაინიშნა ქედის სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილედ, ბატონი გურამი ბავშვობიდან გამოირჩეოდა სპორტის უდიდესი სიყვარულით, არაერთხელ იყო აჭარის ჩემპიონი, და რესპუბლიკური ტურნირის პრიზიორი. ბატონი გურამი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა მომავალ თაობას.

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6-ე დადგენილების 117-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველი გენადი ბერიძის (მცხოვრები: დაბა ქედა, თამარ მეფის ქ. #3; მობ.: 577 08 65 82 ელ. ფოსტა: geno.beridze1973@gmail.com) წარმოგიდგენთ პეტიციას წინანდადების სახით შემდეგ საკითხზე: **ააიპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭების შესახებ.**

დამატების თარიღი: 12-03-19 14:44

გამოქვეყნების თარიღი: 12-03-19 15:19

დასრულების თარიღი: 11-04-19 15:19

ხელმომწერების რაოდენობა: 165

ხელმომწერების საჭირო რაოდენობა: 157

სტატუსი: გამოგზავნილი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შემოსულია № 39/04
„03" „04" 2019წ.
ფურცელი 6 ძირითადი 1 დანართი 5